საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 4422/01
29/04/2022

4422-01-2-202204291912

შპს „სანალიას“
ელ. ფოსტა: amerido@mail.ru

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი №5588 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება შუახევის მუნიციპალიტეტში, სოფ. მახალაკიძეებში, მდ. ჩირუხისწყალზე და მდ. სანალიაზე 4.2 მგვტ ჰიდროელექტროსადგურის ექსპლუატაციას.

წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში მითითებულია, რომ კუმულაციური ხასიათის, ანუ სხვა პროექტების გათვალისწინებით მოსალოდნელი ჯამური ზემოქმედების განხილვის პროცესში აღსანიშნავია „ჩირუხ-სანალია“ ჰესის მიმდებარედ (≈100-120 მ) არსებული „შუახევი ჰესი“. აღნიშნული ჰესების ერთობლივი ფუნქციონირება, კუმულაციური ეფექტის მატარებელი შეიძლება იყოს ზედაპირული წყლების ბუნებრივ ჩამონადენზე და იქთიოფაუნაზე. შესაბამისად, წარმოდგენილ დოკუმენტში უნდა აისახოს კუმულაციური ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია და ასევე, ამ ზემოქმედების შემარბილებელი ან/და საკომპენსაციო ღონისძიებები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ.: +(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044
www.mepa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone.:+(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044